$$\frac{u_i^{j+1} - u_i^j}{\tau} = \frac{1}{h^2} \{v_i^{j+1} u_{i-1}^{j+1} - (v_i^{j+1} + v_{i+1}^{j+1}) u_i^{j+1} + v_{i+1}^{j+1} u_{i+1}^{j+1}\} + f_i^{j+1}, \quad (1.5.4)$$

$$\frac{v_i^{j+1} - v_i^j}{\tau} = -v_i^{j+1} + g \left(v_i^j \frac{u_{i+1}^j - u_{i-1}^j}{2h} \right) + \varepsilon \frac{v_{i-1}^{j+1} - 2v_i^{j+1} + v_{i+1}^{j+1}}{h^2} + \varphi_i^{j+1}, \quad (1.5.5)$$

$$u_0^j = u_M^j = 0, \quad v_{x,0}^j = v_{x,M}^j \quad j = 0, 1, \dots, N, \quad (1.5.6)$$

$$u_i^0 = U_0(x_i), \quad v_i^0 = V_0(x_i), \quad i = 0, 1, \dots, M. \quad (1.5.7)$$

სამართლიანია შემდეგი დებულება.

თეორემა 1.5.1. (1.5.4)-(1.5.7) სხვაობიანი სქემის აპროქსიმაცია (1.5.1)-(1.5.3) ამოცანის გლუვ ამონახსნებზე არის $O(\tau + h)$ და იგი კრებადია (1.5.1)-(1.5.3) ამოცანის ამონახსნისაკენ ბადურ ფუნქციათა C_h სივრცის ნორმის აზრით, ამასთან კრებადობის სიჩქარე ემთხვევა აპროქსიმაციის რიგს.

პარაბოლურად რეგულარიზებული (1.5.1)-(1.5.3) ამოცანის ამონახსნის კრებადობა მიჩისონის ერთგანზომილებიანი მოდელის შესაბამისი ამოცანის ამონახსნისაკენ შესწავლილია [29, 49] ნაშრომებში. ჩვენი მიზანია შესაბამისი რიცხვითი ექსპერიმენტების ჩატარება და მისი ანალიზი.

§ 6. რიცხვითი ექსპერიმენტების შედეგები

ზემოთ მოყვანილი (1.3.1)-(1.3.3), (1.3.9)-(1.3.11), (1.5.4)-(1.5.7) სქემების გამოყენებით ჩატარებულია მრავალი რიცხვითი ექსპერიმენტი. მიღებული ექსპერიმენტების შედეგები შესაბამისობაშია თეორიულ კვლევებთან. ქვემოთ მოყვანილია ზოგიერთი მათგანი.

მაგალითი 1. განვიხილოთ ტესტი, რომელიც შეესაბამება (1.3.1)-(1.3.3) სქემას (ნახ. 1-6).

ტესტურ ექსპერიმენტში ზუსტი ამონახსნი არის:

$$U(x, t) = x^2(1 - x)^2 e^t + \psi x e^{-t},$$
$$V(x, t) = x^2 e^t,$$

რომლებიც აკმაყოფილებენ შემდეგ საწყის და სასაზღვრო პირობებს:

$$U_0(x) = x^2(1 - x)^2 + \psi x,$$
$$V_0(x) = x^2,$$
$$U(0, t) = 0, \quad V(1, t) \frac{\partial U}{\partial x}(1, t) = \psi.$$

ტესტში რიცხვითი გათვლები ჩატარებულია მოცემული არაცხადი (1.3.1)-(1.3.3) სქემის გამოყენებით. ამოცანა ამოხსნილია ნიუტონის იტერაციული მეთოდით [72]. შრიდან შრეზე გადავდივართ მაშინ, როცა მომდევნო ორ იტერაციას შორის სხვაობა ნაკლებია ε -ზე.

მაგალითი 2. განვიხილოთ ტესტი, რომელიც შეესაბამება (1.3.9)-(1.3.11) სქემას (ნახ 7-12).

ტესტურ ექსპერიმენტში ზუსტი ამონახსნი არის:

$$u(x, t) = x(1 - x)e^{-t} + x^2\psi,$$
$$v(x, t) = \psi \left(x + \frac{h}{2} \right)^2 \frac{1}{2\psi - e^{-t}}.$$

ტესტში რიცხვითი გათვლები ჩატარებულია მოცემული არაცხადი (1.3.9)-(1.3.11) სქემის გამოყენებით. აქაც წინა ტესტის მსგავსად, ამოცანა ამოხსნილია ნიუტონის იტერაციული მეთოდით [72]. შრიდან შრეზე გადავდივართ მაშინ, როცა მომდევნო ორ იტერაციას შორის სხვაობა ნაკლებია ε -ზე.

ორივე ტესტისთვის პარამეტრების მნიშვნელობები შემდეგია:


$$M = 10, \quad N = 250, \quad \psi = 0.9, \quad \varepsilon = 0.005.$$

მაგალითი 3. განვიხილოთ ტესტი, რომელიც შეესაბამება (1.5.4)-(1.5.7) სქემას (ნახ 13,14).


ტესტურ ექსპერიმენტში ზუსტი ამონახსნი არის:

$$u(x, t) = 10x(1 - x)(1 + t)$$


$$v(x, t) = 10(1 - x)x(1 + t + t^2).$$




ნახ.1




ნახ.2




ნახ.3




ნახ.4




ნახ.5




ნახ.6




ნახ.7




ნახ.8




ნახ.9



ნახ.10




ნახ.11



ნახ.12

$$\varepsilon = 0,001$$


U ფუნქციისათვის სხვაობის გრაფიკი



ნახ. 13

$$\varepsilon = 0,001$$

V ფუნქციისათვის სხვაობის გრაფიკი



ნახ. 14

თავი II

ორი დეკომპოზიციური მოდელი არაწრფივი ორგანზომილებიანი დიფერენციალური განტოლებათა სისტემისათვის

ამ თავში განიხილება სისტემა, რომლის საშუალებითაც აღიწერება ბევრი მნიშვნელოვანი დიფუზიური პროცესი ბიოლოგიაში ფიზიკაში, და მეცნიერებათა სხვა დარგებში. აღნიშნული სისტემისათვის გამოკვლეულია საწყის-სასაზღვრო ამოცანა, აგებულია ჯამური აპროქსიმაციის გასაშუალოებული მოდელი, რომელიც გვევლინება ამ სისტემისთვის ეკონომიური ალგორითმის აგების ერთ-ერთ საუკეთესო მეთოდად. მოცემულია ამოხსნის ალგორითმები და ჩატარებული რიცხვითი ექსპერიმენტების შედეგები და ანალიზი.

§ 1. ამოცანის დასმა

არაწრფივ კერძოწარმოებულებიანი დიფერენციალურ განტოლებათა ორგანზომილებიანი სისტემისათვის

$$\frac{\partial U}{\partial t} = \frac{\partial}{\partial x} \left(V_1 \frac{\partial U}{\partial x} \right) + \frac{\partial}{\partial y} \left(V_2 \frac{\partial U}{\partial y} \right), \quad (2.1.1)$$

$$\frac{\partial V_1}{\partial t} = -V_1 + g_1 \left(V_1 \frac{\partial U}{\partial x} \right), \quad (2.1.2)$$

$$\frac{\partial V_2}{\partial t} = -V_2 + g_2 \left(V_2 \frac{\partial U}{\partial y} \right)$$

განვიხილოთ შემდეგი საწყის-სასაზღვრო ამოცანა: $Q = \Omega \times (0, T)$ არეში ვიპოვოთ (2.1.1), (2.1.2) სისტემის ისეთი ამონახსნი (U, V_1, V_2) რომელიც აკმაყოფილებს საწყის და სასაზღვრო პირობებს:

$$U(x, y, 0) = U_0(x, y), \quad V_i(x, y, 0) = V_{i0}(x, y), \quad i = 1, 2, \quad (2.1.3)$$

$$U(x, y, t) = 0, \quad (x, y, t) \in \partial\Omega \times [0, T]. \quad (2.1.4)$$

აქ $\Omega = (0, 1) \times (0, 1)$, T - ნებისმიერი ფიქსირებული დადებითი რიცხვია, ხოლო g_i, U_0, V_{i0} მოცემული საკმაოდ გლუვი ფუნქციებია, რომლებიც აკმაყოფილებენ შემდეგ პირობებს:

$$V_{i0} \geq \delta_0 = \text{const} > 0, \quad (x, y) \in \bar{\Omega}, \quad (2.1.5)$$

$$g_0 \leq g_i(\xi_i) \leq G_0, \quad |g'_i(\xi_i)| \leq G_1, \quad \xi_i \in R, \quad i = 1, 2, \quad (2.1.6)$$

სადაც δ_0, g_0, G_0, G_1 დადებითი მუდვივებია.

ვთქვათ, შესრულებულია შეთანხმებულობის პირობები და არსებობს (2.1.1)–(2.1.4) ამოცანის საკმაოდ გლუვი ამონახსნი. შევნიშნოთ, რომ (2.1.6) დამოკიდებულების გამოყენებით (2.1.2) განტოლებიდან ვღებულობთ შეფასებას [20]

$$\begin{aligned} V_1(x, y, t) &= e^{-t}V_{01}(x, y) + e^{-t} \int_0^t e^\tau g_1 \left(V_1 \frac{\partial U}{\partial x} \right) d\tau \geq \\ &\geq e^{-t}\delta_0 + e^{-t} \int_0^t g_0 e^\tau d\tau > \sigma_0 > 0, \end{aligned} \quad (2.1.7)$$

$$\begin{aligned} V_2(x, y, t) &= e^{-t}V_{02}(x, y) + e^{-t} \int_0^t e^\tau g_2 \left(V_2 \frac{\partial U}{\partial y} \right) d\tau \geq \\ &\geq e^{-t}\delta_0 + e^{-t} \int_0^t g_0 e^\tau d\tau > \sigma_0 > 0. \end{aligned}$$

ანალოგიურად გამოდის V_i ფუნქციების ზემოდან შემოსაზღვრულობაც

$$V_i(x, y, t) < V_0 = \text{const}. \quad (2.1.8)$$

§ 2. ამონახსნის ერთადერთობის შესახებ

მოცემულ პარაგრაფში [20] ნაშრომზე დაყრდნობით დამტკიცებულია თეორემა (2.1.1)-(2.1.4) ამოცანის ამონახსნის ერთადერთობის შესახებ.

თეორემა 2.1. თუ (2.1.1)-(2.1.4) ამოცანას გააჩნია კლასიკური ამონახსნი, მაშინ ის ერთადერთია.

დამტკიცება. დავუშვათ, არსებობს (2.1.1)-(2.1.4) ამოცანის ორი ამონახსნი (U, V_1, V_2) და $(\tilde{U}, \tilde{V}_1, \tilde{V}_2)$, მაშინ მათი სხვაობებისთვის (Z, S_1, S_2) , სადაც

$$Z = U - \tilde{U}, \quad S_i = V_i - \tilde{V}_i, \quad i = 1, 2$$

გვაქვს

$$\frac{\partial Z}{\partial t} = \frac{\partial}{\partial x} \left(V_1 \frac{\partial Z}{\partial x} + S_1 \frac{\partial \tilde{U}}{\partial x} \right) + \frac{\partial}{\partial y} \left(V_2 \frac{\partial Z}{\partial y} + S_2 \frac{\partial \tilde{U}}{\partial y} \right), \quad (2.2.1)$$

$$\frac{\partial S_1}{\partial t} = -S_1 + \bar{g}_1(x, t) \left(V_1 \frac{\partial Z}{\partial x} + S_1 \frac{\partial \tilde{U}}{\partial x} \right), \quad (2.2.2)$$

$$\frac{\partial S_2}{\partial t} = -S_2 + \bar{g}_2(x, t) \left(V_2 \frac{\partial Z}{\partial y} + S_2 \frac{\partial \tilde{U}}{\partial y} \right),$$

$$Z(x, y, 0) = 0, \quad S_i(x, y, 0) = 0, \quad i = 1, 2, \quad (x, y) \in \bar{\Omega}, \quad (2.2.3)$$

$$Z(x, y, t) = 0, \quad (x, y, t) \in \partial\Omega \times [0, T].$$

აქ

$$\bar{g}_1(x, t) = \int_0^1 g'_1 \left(\theta V_1 \frac{\partial U}{\partial x} + (1 - \theta) \tilde{V}_1 \frac{\partial \tilde{U}}{\partial x} \right) d\theta,$$

$$\bar{g}_2(x, t) = \int_0^1 g'_2 \left(\theta V_2 \frac{\partial U}{\partial y} + (1 - \theta) \tilde{V}_2 \frac{\partial \tilde{U}}{\partial y} \right) d\theta.$$

გავამრავლოთ (2.2.1), (2.2.2) ტოლობები შესაბამისად Z და S_i ფუნქციებზე და ვაინტეგრირებთ Ω არეზე

$$\frac{1}{2} \frac{d}{dt} \|Z\|^2 + \left(V_1, \left(\frac{\partial Z}{\partial x} \right)^2 \right) + \left(V_2, \left(\frac{\partial Z}{\partial y} \right)^2 \right) = - \left(S_1 \frac{\partial \tilde{U}}{\partial x}, \frac{\partial Z}{\partial x} \right) - \left(S_2 \frac{\partial \tilde{U}}{\partial y}, \frac{\partial Z}{\partial y} \right),$$

$$\frac{1}{2} \frac{d}{dt} \|S_1\|^2 + \|S_1\|^2 = \left(\bar{g}_1(x, y, t) S_1, V_1 \frac{\partial Z}{\partial x} + S_1 \frac{\partial U}{\partial x} \right),$$

$$\frac{1}{2} \frac{d}{dt} \|S_2\|^2 + \|S_2\|^2 = \left(\bar{g}_2(x, y, t) S_2, V_2 \frac{\partial Z}{\partial y} + S_2 \frac{\partial U}{\partial y} \right)$$

სადაც

$$\|u\| = (u, u)^{1/2}, \quad (u, v) = \int_{\Omega} uv dx.$$

მარტივი გარდაქმნების შემდეგ [20] ვღებულობთ:

$$\frac{1}{2} \frac{d}{dt} \|Z\|^2 + C \left(\left\| \frac{\partial Z}{\partial x} \right\|^2 + \left\| \frac{\partial Z}{\partial y} \right\|^2 \right) \leq C(\|S_1\|^2 + \|S_2\|^2),$$

$$\frac{1}{2} \frac{d}{dt} \|S_1\|^2 + \|S_1\|^2 \leq \varepsilon \left\| \frac{\partial Z}{\partial x} \right\|^2 + C \|S_1\|^2,$$

$$\frac{1}{2} \frac{d}{dt} \|S_2\|^2 + \|S_2\|^2 \leq \varepsilon \left\| \frac{\partial Z}{\partial y} \right\|^2 + C \|S_2\|^2,$$

სადაც ε არის საკმარისად მცირე დადებითი მუდმივი, ხოლო C აქ და შემდგომ აღნიშნავს საზოგადოდ განსხვავებულ მუდმივებს (შემდეგ პარაგრაფებშიც ისინი არ იქნებიან დამოკიდებული τ და h სიდიდეებზე).

მიღებული უტოლობებიდან ბოლო ორი ავჯამოთ და შევკრიბოთ პირველ უტოლობასთან, მივიღებთ

$$\frac{d}{dt} (\|Z\|^2 + \|S_1\|^2 + \|S_2\|^2) \leq K(\|S_1\|^2 + \|S_2\|^2).$$

აქედან (2.2.3) პირობის ძალით და გრონუოლის ლემის გამოყენებით საბოლოოდ ვღებულობთ:

$$Z \equiv 0, \quad S_1 \equiv 0, \quad S_2 \equiv 0.$$

ამრიგად, (2.1.1)-(2.1.4) ამოცანის ამონახსნის ერთადერთობა დამტკიცებულია.

§ 3. ჯამური აპროქსიმაციის გასაშუალოებული მოდელი

ვთქვათ, $\Omega = (0,1) \times (0,1)$. კვლავ შემოვიტანოთ $[0, T]$ სეგმენტზე ბადე: $\omega_\tau = \{t_j = j\tau, j = 0, \dots, N; \tau = \frac{T}{N}\}$ და ყოველ $\Delta_k = [k\tau, (k+1)\tau]$ შუალედში განვიხილოთ U_i^k და V_i^k ($i = 1, 2$) ფუნქციები, რომლებიც წარმოადგენენ შემდეგი გასაშუალოებული ადიტიური მოდელის ამონახსნებს [20]:

$$\eta_1 \frac{\partial U_1^k}{\partial t} = \frac{\partial}{\partial x} \left(V_1^k \frac{\partial U_1^k}{\partial x} \right), \quad (2.3.1)$$

$$\eta_2 \frac{\partial U_2^k}{\partial t} = \frac{\partial}{\partial y} \left(V_2^k \frac{\partial U_2^k}{\partial y} \right),$$

$$\frac{\partial V_1^k}{\partial t} = -V_1^k + g_1 \left(V_1^k \frac{\partial U_1^k}{\partial x} \right), \quad (2.3.2)$$

$$\frac{\partial V_2^k}{\partial t} = -V_2^k + g_2 \left(V_2^k \frac{\partial U_2^k}{\partial y} \right),$$

$$U_1^k|_{x=0} = U_1^k|_{x=1} = 0, \quad U_2^k|_{y=0} = U_2^k|_{y=1} = 0, \quad U_i^0(x, 0) = U_0(x), \quad (2.3.3)$$

$$U_i^k(x, y, t_k) = U^{k-1}(x, y, t_k), \quad V_i^k(x, y, t_k) = V_i^{k-1}(x, y, t_k),$$

$$i = 1, 2,$$

სადაც

$$U^k(x, y, t) = \eta_1 U_1^k(x, y, t) + \eta_2 U_2^k(x, y, t), \quad \eta_1, \eta_2 > 0, \quad \eta_1 + \eta_2 = 1.$$

სამართლიანია შემდეგი დებულება.

თეორემა 2.3.1. თუ (2.3.1)-(2.3.3) ამოცანას გააჩნია საკმაოდ გლუვი ამონახსნი (U^k, V_1^k, V_2^k) , მაშინ იგი კრებადია (2.1.1)-(2.1.4) ამოცანის ამონახსნისაკენ (U, V_1, V_2) , როცა $\tau \rightarrow 0$ და ადგილი აქვს შეფასებას

$$\|U^k(t) - U(t)\|^2 + \|V_1^k(t) - V_1(t)\|^2 + \|V_2^k(t) - V_2(t)\|^2 = O(\tau^{1/2}).$$

დამტკიცება. შემოვიტანოთ ცდომილებები:

$$Z = U^k - U, \quad Z_i = U_i^k - U, \quad S_i = V_i^k - V_i, \quad i = 1, 2.$$

ცხადია, რომ $Z = \eta_1 Z_1 + \eta_2 Z_2$.

შემოვიტანოთ აღნიშვნა : $x_1 = x$, $x_2 = y$.

Z_i და S_i ფუნქციებისთვის გვაქვს ტოლობები:

$$\eta_i \frac{\partial Z_i}{\partial t} = \frac{\partial}{\partial x_i} \left(V_i^k \frac{\partial U_i^k}{\partial x_i} - V \frac{\partial U}{\partial x_i} \right) + A_i U - \eta_i A U, \quad (2.3.4)$$

$$\frac{\partial S_i}{\partial t} = -S_i + g_i \left(V_i^k \frac{\partial U_i^k}{\partial x_i} \right) - g_i \left(V_i \frac{\partial U}{\partial x_i} \right), \quad (2.3.5)$$

სადაც

$$A_i U = \frac{\partial}{\partial x_i} \left(V_i \frac{\partial U}{\partial x_i} \right), \quad A U = A_1 U + A_2 U.$$

გავამრავლოთ (2.3.4), (2.3.5) ტოლობები შესაბამისად Z_i და S_i ფუნქციებზე. მარტივი გარდაქმნების შედეგად ვღებულობთ შემდეგ თანაფარდობებს:

$$\frac{1}{2} \eta_i \frac{d}{dt} \|Z_i\|^2 = J_i^1 + (A_i U, Z_i) - \eta_i (A U, Z), \quad (2.3.6)$$

$$\frac{1}{2} \frac{d}{dt} \|S_i\|^2 = -\|S_i\|^2 + J_i^2, \quad (2.3.7)$$

სადაც

$$J_i^1 = - \left(V_i^k \frac{\partial U_i^k}{\partial x_i} - V_i \frac{\partial U}{\partial x_i}, \frac{\partial Z_i}{\partial x_i} \right),$$

$$J_i^2 = \left(g_i \left(V_i^k \frac{\partial U_i^k}{\partial x_i} \right) - g_i \left(V_i \frac{\partial U}{\partial x_i} \right), S_i \right).$$

თუ გავითვალისწინებთ იგივეობას

$$Z_i = Z + \sum_{j=1}^2 \eta_j (U_i^k - U_j^k),$$

(2.3.6) შეიძლება გადავწეროთ შემდეგი სახით

$$\frac{1}{2} \eta_i \frac{d}{dt} \|Z_i\|^2 = J_i^1 - \eta_i (A U, Z_i) + (A_i U, Z) + \left(A_i U, \sum_{j=1}^2 \eta_j (U_i^k - U_j^k) \right). \quad (2.3.8)$$

ახლა შევაფასოთ J_i^1 , J_i^2 და

$$I_i = \sum_{j=1}^2 \eta_i (A_i U, U_i^k - U_j^k)$$

გამოსახულებები.

თუ გავითვალისწინებთ, რომ V_i^k ფუნქციებისათვის სამართლიანია (2.1.7), (2.1.8)-ის ანალოგიური შეფასებები, მივიღებთ

$$\begin{aligned} J_i^1 + J_i^2 = & - \left(V_i^k, \left(\frac{\partial Z_i}{\partial x_i} \right)^2 \right) - \left(S_i \frac{\partial U}{\partial x_i}, \frac{\partial Z_i}{\partial x_i} \right) + \left(\overline{g_i^k}(x, t) V_i^k, S_i \frac{\partial Z_i}{\partial x_i} \right) + \\ & + \left(\overline{g_i^k}(x, t) \frac{\partial U}{\partial x_i}, S_i^2 \right) \leq -\sigma_0 \left\| \frac{\partial Z_i}{\partial x_i} \right\|^2 + \varepsilon \left\| \frac{\partial Z_i}{\partial x_i} \right\|^2 + C \|S_i\|^2. \end{aligned} \quad (2.3.9)$$

აქ შემოტანილია აღნიშვნა

$$\overline{g_i^k}(x, t) = \int_0^1 g_i' \left(\theta V_i^k \frac{\partial U_i^k}{\partial x_i} + (1 - \theta) V_i \frac{\partial U}{\partial x_i} \right) d\theta$$

და რამდენიმეჯერ გამოყენებულია ε - უტოლობა.

თუ ავჯამავთ (2.3.8) და (2.3.9) ტოლობებს i ინდექსის მიმართ ($i = 1, 2$) და ავიღებთ $\varepsilon < \sigma_0$, მაშინ (2.3.9) უტოლობის ძალით მივიღებთ

$$\frac{1}{2} \frac{d}{dt} \sum_{i=1}^2 (\eta_i \|Z_i\|^2 + \|S_i\|^2) + \sum_{i=1}^2 \|S_i\|^2 \leq K \sum_{i=1}^2 (\|S_i\|^2 + \varphi_i + I_i), \quad (2.3.10)$$

სადაც

$$\varphi_i = (A_i U, Z_i) - \eta_i (A U, Z_i).$$

აღვნიშნოთ, რომ

$$\varphi_1 + \varphi_2 = 0.$$

შევაფასოთ I_i გამოსახულება.

თუ გავითვალისწინებთ იგივეობას

$$U_i^k - U_j^k = \int_{t_k}^t \frac{\partial}{\partial t'} (U_i^k - U_j^k) dt'$$

და დავუშვებთ, რომ $\|A_i U\| < C$, $\|\partial U_i^k / \partial t\| < C$, გვექნება

$$(A_i U, U_i^k - U_j^k) = \left(A_i U, \int_{t_k}^t \frac{\partial}{\partial t^1} (U_i^k - U_j^k) dt \right) \leq C \tau^{1/2}.$$

(2.3.10) უტოლობიდან $t \in \Delta_k$ ცვლადით ინტეგრების შემდეგ, ვღებულობთ

$$\begin{aligned} \sum_{i=1}^2 (\eta_i \|Z_i\|^2 + \|S_i\|^2) &\leq C \sum_{i=1}^2 \int_{t_k}^t \|S_i(t^1)\| dt^1 + \\ &+ \|Z(t_k)\|^2 + \sum_{i=1}^2 \|S_i(t_k)\|^2 + C \tau^{3/2}. \end{aligned}$$

თუ გავითვალისწინებთ ნორმის ამოზნექილობას

$$\sum_{i=1}^2 \eta_i \|Z_i\|^2 \geq \sum_{i=1}^2 \|\eta_i Z_i\|^2 = \|Z\|^2,$$

მივიღებთ

$$\begin{aligned} \|Z(t)\|^2 + \sum_{i=1}^2 \|S_i(t)\|^2 &\leq C \sum_{i=1}^2 \int_{t_k}^t \|S_i(t^1)\|^2 dt^1 + \\ &+ \|Z(t_k)\|^2 + \sum_{i=1}^2 \|S_i(t_k)\|^2 + C \tau^{3/2}. \end{aligned}$$

აქედან ადვილად მიიღება შეფასება

$$\|Z(t)\|^2 + \|S_1(t_k)\|^2 + \|S_2(t_k)\|^2 \leq C \tau^{1/2}.$$

ამით თეორემა დამტკიცებულია.

შენიშვნა 2.3.1. აღვნიშნოთ, რომ კრებადობის რიგის $O(\tau^{1/4})$ შეფასების გაუმჯობესება თეორემა 2.3.1-ში შესაძლებელია [20]. კერძოდ, თუ დავუშვებთ, რომ $\left| \frac{\partial U_i^k}{\partial t} \right| < C$, მაშინ კრებადობის რიგი იქნება $O(\tau^{1/2})$.

§ 4. ერთი დეკომპოზიციური სხვაობიანი სქემა

გამოვიყენოთ ცნობილი აღნიშვნები [81] და კვლავ ავაგოთ ზადე \bar{Q} არეზე:

$$\bar{\omega}_{h\tau} = \bar{\omega}_h \times \omega_\tau, \quad \bar{\omega}_{\alpha h\tau} = \bar{\omega}_{\alpha h} \times \omega_\tau, \quad \alpha = 1, 2, \text{ სადაც}$$

$$\bar{\omega}_h = \{(x_i, y_j) = (ih, jh), \quad i, j = 0, 1, \dots, M, \quad Mh = 1\},$$

$$\bar{\omega}_{1h} = \{(x_i, y_j) = ((i - 1/2)h, jh), \quad i, j = 1, \dots, M, \quad Mh = 1\},$$

$$\bar{\omega}_{2h} = \{(x_i, y_j) = (ih, (j - 1/2)h), \quad i, j = 1, \dots, M, \quad Mh = 1\},$$

$$\bar{\omega}_\tau = \{t_k = k\tau, \quad k = 0, 1, \dots, N, \quad N\tau = T\},$$

$$u_x^k = \frac{u_{i+1}^k - u_i^k}{h}, \quad u_{\bar{x}}^k = \frac{u_i^k - u_{i-1}^k}{h}, \quad u_t = \frac{u_i^{k+1} - u_i^k}{\tau}.$$

(2.1.1)-(2.1.4) ამოცანის დისკრეტული ანალოგის ასაგებად და რიცხვითი ექსპერიმენტის ჩასატარებლად ვიყენებთ დეკომპოზიციის მეთოდს.

კერძოდ, უწყვეტი ამოცანის სხვაობიანი ამონახსნის მისაღებად

$$\bar{\omega}_\tau = \{t_k = k\tau, \quad k = 0, 1, \dots, N, \quad N\tau = T\},$$

ზადის ყოველ ბიჯზე ვხსნით ორ სისტემას:

$$\frac{u_1^{k+1} - u_1^k}{\tau} = \sigma_1 (v_1^{k+1} u_{1\bar{x}}^{k+1})_x + (1 - \sigma_1) (v_1^k u_{1\bar{x}}^k)_x,$$

$$\frac{v_1^{k+1} - v_1^k}{\tau} = -v_1^{k+1} + g_1 (v_1^k u_{1\bar{x}}^k),$$

$$u_1(x_i, y_j, t_k) = u_2(x_i, y_j, t_{k+1}), \quad u_1(x_i, y_j, 0) = U_0(x_i, y_j), \quad (2.4.1)$$

$$(x_i, y_j) \in \bar{\omega}_h, \quad v_1(x_i, y_j, 0) = V_{01}(x, y), \quad (x_i, y_j) \in \bar{\omega}_{1h},$$

$$u_1(0, y_j, t_{k+1}) = 0, \quad u_1(1, y_j, t_{k+1}) = 0, \quad j = 0, 1, 2, \dots, M,$$

$$k = 0, 1, \dots, N - 1;$$

$$\frac{u_2^{k+1} - u_2^k}{\tau} = \sigma_2 (v_2^{k+1} u_{2\bar{y}}^{k+1})_y + (1 - \sigma_2) (v_2^k u_{2\bar{y}}^k)_y,$$

$$\frac{v_2^{k+1} - v_2^k}{\tau} = -v_2^{k+1} + g_2(v_2^k u_{2y}^k),$$

$$u_2(x_i, y_j, t_k) = u_1(x_i, y_j, t_{k+1}), \quad (x_i, y_j) \in \bar{\omega}_h, \quad (2.4.2)$$

$$v_2(x_i, y_j, 0) = V_{02}(x, y), \quad (x_i, y_j) \in \bar{\omega}_{2h},$$

$$u_2(x_i, 0, t_{k+1}) = 0, \quad u_1(x_i, 1, t_{k+1}) = 0, \quad i = 0, 1, \dots, M, \\ k = 0, 1, \dots, N - 1;$$

აქ $\sigma_1, \sigma_2 \in]0, 1]$; u_1 და u_2 ფუნქციები განსაზღვრულია $\bar{\omega}_{h\tau}$ ბადეზე, v_1 და v_2 კი $\bar{\omega}_{1h\tau}$ და $\bar{\omega}_{2h\tau}$ ბადეებზე შესაბამისად.

იმისათვის, რომ ვიპოვოთ საწყისი ამოცანის მიახლოებითი ამონახსნების მნიშვნელობები $t = t_k$ შრის წერტილებში, საჭიროა დროის ყოველ შუალედში ჯერ ამოვხსნათ (2.4.1) ამოცანა (u_1, v_1) -ს მიმართ, ხოლო შემდეგ (2.4.2) ამოცანა (u_2, v_2) -ს მიმართ, ამასთან (2.4.2) ამოცანაში საწყის პირობას ვსაზღვრავთ (2.4.1) ამოცანის ამონახსნის მიხედვით. საწყისი ამოცანის საბოლოო მიახლოებით ამონახსნს წარმოადგენს (u_2, v_1, v_2) .

აღნიშნული მეთოდი არის მიმდევრობითი ტიპის დეკომპოზიციის მეთოდი.

მიახლოებითი ამონახსნის მისაღებად შეიძლება გამოყენებულ იქნას აგრეთვე პარალელური ტიპის დეკომპოზიციის მეთოდი, ანუ დროის ყოველ შუალედში პარალელურად ამოიხსნას ამოცანა როგორც (u_1, v_1) -ს, ისე (u_2, v_2) -ს მიმართ და საბოლოო ამონახსნად გამოცხადდეს მათი საშუალო არითმეტიკული.

სამართლიანია შემდეგი დებულება [41].

თეორემა 2.4.1. (2.4.1), (2.4.2) სხვაობიანი სქემის აპროქსიმაცია (2.1.1)-(2.1.4) ამოცანის გლუვ ამონახსნებზე არის $O(\tau + h^2)$ და იგი კრებადია (2.1.1)-(2.1.4) ამოცანის ამონახსნისაკენ ბადურ ფუნქციათა $L_2(\omega_h)$ სივრცის ნორმის აზრით, ამასთან კრებადობის სიჩქარე ემთხვევა აპროქსიმაციის რიგს.

ჩვენი მიზანია (2.1.1)-(2.1.4) ამოცანისათვის აგებული დისკრეტული ანალოგისათვის შესაბამისი რიცხვითი ექსპერიმენტების ჩატარება და მისი ანალიზი.

§ 5. რიცხვითი ექსპერიმენტების შედეგები

(2.1.1)-(2.1.4) ამოცანის დისკრეტული ანალოგის ასაგებად და რიცხვითი ექსპერიმენტის ჩასატარებლად გამოვიყენეთ დეკომპოზიციისა და ჯამური აპროქსიმაციის გასაშუალოებული მეთოდები. მიღებული ექსპერიმენტების შედეგები სრულ შესაბამისობაშია თეორიულ კვლევებთან. გაკეთებულია ორივე მეთოდის შედარებითი ანალიზი. ქვემოთ მოყვანილია ზოგიერთი მათგანი.

ორივე სქემისათვის ჩვენ შევარჩიეთ მარჯვენა მხარე ისე, რომ ზუსტი ამონახსნი იყოს:

$$U(x_1, x_2, t) = x_1 x_2 (1 - x_1)(1 - x_2)(1 + t),$$

$$V_1(x_1, x_2, t) = 1 + (\sin(2\pi x_1))^2 x_2 (1 - x_1)(1 - x_2)(1 + t + t^2),$$

$$V_2(x_1, x_2, t) = 1 + x_1 (\sin(2\pi x_2))^2 (1 - x_1)(1 - x_2)(1 + t + t^3),$$

და

$$g_\alpha(\xi) = \frac{2 + \xi^2}{1 + \xi^2}, \quad \alpha = 1, 2.$$

პარამეტრის მნიშვნელობები შემდეგია: $M_1 = M_2 = 20$, $N = 800$.

ცხრილი 1. ზუსტ და მიახლოებით ამონახსნებს შორის სხვაობების აბსოლუტური მნიშვნელობების მაქსიმუმები დროის სხვადასხვა

მნიშვნელობებისათვის (შეესაბამება ჯამური აპროქსიმაციის მეთოდით დათვლილ ტესტურ ექსპერიმენტს).

t	ცდომილება u ფუნქციისთვის	ცდომილება v_1 ფუნქციისთვის	ცდომილება v_2 ფუნქციისთვის
0.2	0,00006973950435170	0,00001634140038553	0,00001662571352523
0.4	0,00007422011594080	0,00003786305693865	0,00003781271060488
0.5	0,00007639471824901	0,00004965015524427	0,00004799728057736
0.6	0,00007890208614024	0,00006202878270467	0,00005790906416947
0.8	0,00008480943243865	0,00008875495749039	0,00007978157763566
1.0	0,00009205402490850	0,00011818090303972	0,00010625023389577

ცხრილი 2. ზუსტ და მიახლოებით ამონახსნებს შორის სხვაობების აბსოლუტური მნიშვნელობების მაქსიმუმები დროის სხვადასხვა მნიშვნელობებისათვის (შეესაბამება დეკომპოზიციის მეთოდით დათვლილ ტესტურ ექსპერიმენტს).

t	ცდომილება u ფუნქციისთვის	ცდომილება v_1 ფუნქციისთვის	ცდომილება v_2 ფუნქციისთვის
0.2	0,00026282891931262	0,00015043941254533	0,00015942341679875
0.4	0,00030779909582776	0,00033288205500392	0,00031116318510116
0.5	0,00033020062465502	0,00043651095308284	0,00040913243852891
0.6	0,00035248643202719	0,00054919496691519	0,00051581215077778
0.8	0,00039670184735482	0,00097361502202231	0,00089524191758539
1.0	0,00045611662620182	0,00180353622641105	0,00171215438856742

ასევე აღვნიშნოთ, რომ ცდომილების ენერგეტიკული ნორმა კლებულებს მეორე რიგით სივრცითი ბიჯის მიმართ და წრფივად დროითი ბიჯის მიმართ, როგორც ეს თეორიული კვლევებიდან იყო მოსალოდნელი. ცხრილებში 3-8 მოცემულია კრებადობის რიგები სივრცითი და დროითი ცვლადების

სხვადასხვა მნიშვნელობებისთვის ჯამური აპროქსიმაციის მეთოდით დათვლილი ტესტური ექსპერიმენტისთვის ($h_1 = h_2 = h$).

ცხრილი 3. u ფუნქციისთვის კრებადობის რიგები ენერგეტიკულ ნორმაში როცა $t = 0.5$.

h	t	ცდომილება	კრებადობის რიგი h ბიჯის მიმართ	კრებადობის რიგი τ ბიჯის მიმართ
0.1	0.005	0,0003049579762	1,99706564824331	0,99853282412166
0.05	0.00125	0,0000763947182	1,99329673448354	0,99664836724177
0.04	0.0008	0,0000489658075	1,99900718063099	0,99950359031549
0.025	0.0003125	0,0000191361959	2,00040184921273	1,00020092460637
0.02	0.0002	0,0000122460672		

ცხრილი 4. v_1 ფუნქციისთვის კრებადობის რიგები ენერგეტიკულ ნორმაში როცა $t = 0.5$.

h	t	ცდომილება	კრებადობის რიგი h ბიჯის მიმართ	კრებადობის რიგი τ ბიჯის მიმართ
0.1	0.005	0,00020510126667	2,04646626785852	1,02323313392926
0.05	0.00125	0,00004965015524	2,08926869651192	1,04463434825596
0.04	0.0008	0,00003114939057	2,04194122988735	1,02097061494367
0.025	0.0003125	0,00001193022257	2,04305120660462	1,02152560330231
0.02	0.0002	0,00000756234396		

ცხრილი 5. v_2 ფუნქციისთვის კრებადობის რიგები ენერგეტიკულ ნორმაში როცა

$$t = 0.5.$$

h	t	ცდომილება	კრებადობის რიგი h ბიჯის მიმართ	კრებადობის რიგი τ ბიჯის მიმართ
0.1	0.005	0,00020355131770	2,08436798762681	1,04218399381340
0.05	0.00125	0,00004799728058	2,04811055150060	1,02405527575030
0.04	0.0008	0,00003039024573	2,01743166712515	1,00871583356257
0.025	0.0003125	0,00001177432705	1,99948484961962	0,99974242480981
0.02	0.0002	0,00000753643559		

ცხრილი 6. u ფუნქციისთვის კრებადობის რიგები ენერგეტიკულ ნორმაში როცა

$$t = 1.$$

h	t	ცდომილება	კრებადობის რიგი h ბიჯის მიმართ	კრებადობის რიგი τ ბიჯის მიმართ
0.1	0.005	0,0003648648115	1,98680931328549	0,99340465664275
0.05	0.00125	0,0000920540249	1,99260708814319	0,99630354407159
0.04	0.0008	0,0000590118463	1,99808656880015	0,99904328440008
0.025	0.0003125	0,0000230722424	2,00073405466239	1,00036702733120
0.02	0.0002	0,0000147638166		

ცხრილი 7. v_1 ფუნქციისთვის კრებადობის რიგები ენერგეტიკულ ნორმაში როცა

$$t = 1.$$

h	t	ცდომილება	კრებადობის რიგი h ბიჯის მიმართ	კრებადობის რიგი τ ბიჯის მიმართ
-----	-----	-----------	----------------------------------	-------------------------------------


0.1	0.005	0,00049365131676	2,06249544749296	1,03124772374648
0.05	0.00125	0,00011818090304	2,03180813649124	1,01590406824562
0.04	0.0008	0,00007510083250	2,05539272685836	1,02769636342918
0.025	0.0003125	0,00002858235595	2,01332811602830	1,00666405801415
0.02	0.0002	0,00001823838459		

ცხრილი 8. v_2 ფუნქციისთვის კრებადობის რიგები ენერგეტიკულ ნორმაში როცა $t = 1$.

h	t	ცდომილება	კრებადობის რიგი h ბიჯის მიმართ	კრებადობის რიგი τ ბიჯის მიმართ
0.1	0.005	0,00043667280043	2,03908665384607	1,01954332692304
0.05	0.00125	0,00010625023389	2,03770242155969	1,01885121077985
0.04	0.0008	0,00006743046065	2,02049926827801	1,01024963413901
0.025	0.0003125	0,00002608746329	2,02948734438797	1,01474367219398
0.02	0.0002	0,00001658647911		


ნახაზი 1-3 შეესაბამება U , V_1 და V_2 ფუნქციებისათვის ჯამური აპროქსიმაციისა და დეკომპოზიციის მეთოდით ჩატარებული რიცხვითი ექსპერიმენტისათვის მიღებული მიახლოებითი ამონახსნების სხვაობებს.

U




б. 1

V1



б. 2

V2



б.3

თავი III

ცვალებადი მიმართულებების სხვაობიანი სქემის აგება და გამოკვლევა ორგანზომილებიანი მოდელისთვის

ამ თავში მოყვანილია მცენარეთა ფოთლებში მიმდინარე მარღვოვანი განვითარების ბიოლოგიური პროცესის აღმწერი მათემატიკური მოდელის ორგანზომილებიანი სისტემა. აგებული და გამოკვლეულია ცვალებადი მიმართულებების სხვაობიანი სქემა. აქვე არის გადმოცემული რიცხვითი ამოხსნის ალგორითმი. მოყვანილია მრავალი ტესტური გათვლის გრაფიკული და ცხრილური ილუსტრაცია და ჩატარებული რიცხვითი ექსპერიმენტების შედეგების ანალიზი. ანალოგიური კუთხით საკითხის გამოკვლევა დაწყებულია [40] შრომაში. მას მოყვა მრავალი გაგრძელება [41-45, 49, 61-65]. ამ თავში გადმოცემულია მასალა, რომელიც ძირითადად დაფუძნებულია დისერტაციის ავტორის თანაავტორობით შესრულებულ [45] ნაშრომზე.

§1. მცენარეთა ფოთლების მარღვოვანი განვითარების მათემატიკური მოდელი

ცილინდრში $\Omega \times (0, T)$ განვიხილოთ შემდეგი ამოცანა არაწრფივი კერძოწარმოებულებიანი დიფერენციალურ განტოლებათა სისტემისათვის:

$$\frac{\partial U}{\partial t} = \frac{\partial}{\partial x} \left(a_1(V_1) \frac{\partial U}{\partial x} \right) + \frac{\partial}{\partial y} \left(a_2(V_2) \frac{\partial U}{\partial y} \right), \quad (3.1.1)$$

$$\frac{\partial V_1}{\partial t} = -V_1 + g_1 \left(V_1 \frac{\partial U}{\partial x} \right), \quad (3.1.2)$$

$$\frac{\partial V_2}{\partial t} = -V_2 + g_2 \left(V_2 \frac{\partial U}{\partial y} \right), \quad (3.1.3)$$

$$U(x, y, 0) = U_0(x, y), \quad V_1(x, y, 0) = V_{10}(x, y), \quad V_2(x, y, 0) = V_{20}(x, y), \quad x \in \bar{\Omega}, \quad (3.1.4)$$

$$U(x, y, t) = 0, \quad (x, y, t) \in \partial\Omega \times [0, T], \quad (3.1.5)$$

სადაც $\Omega = (0,1) \times (0,1)$, $\partial\Omega$ არის Ω არის საზღვარი, T ფიქსირებული დადებითი რიცხვია, $U_0, V_{\alpha 0}, g_\alpha$ არიან მოცემული საკმაოდ გლუვი ფუნქციები, რომლებიც აკმაყოფილებენ შემდეგ პირობებს:

$$V_{\alpha 0}(x) \geq \delta_0 \geq 0, \quad (x, y) \in \bar{\Omega}, \quad (3.1.6)$$

$$\gamma_0 < g_\alpha(\xi_\alpha) \leq G_0, \quad |g'_\alpha(\xi_\alpha)| \leq G_1, \quad \xi_\alpha \in R, \quad \alpha = 1,2, \quad (3.1.7)$$

სადაც $\delta_0, \gamma_0, G_0, G_1$ დადებითი მუდმივებია.

ვთქვათ, შესრულებულია შეთანხმებულობის პირობები და არსებობს (3.1.1)-(3.1.5) ამოცანის საკმაოდ გლუვი ამონახსნი. აღვნიშნოთ, რომ (3.1.1)-(3.1.5) ამოცანის ამონახსნის ერთადერთობა შესწავლილია [20] შრომაში.

ადგილი აქვს შემდეგ ფაქტებს [20, 40]: (3.1.4) და (3.1.6) დამოკიდებულებების გამოყენებით (3.1.2) და (3.1.3) განტოლებებიდან, როგორც წინა თავში იყო განხორციელებული, ვღებულობთ

$$V_\alpha(x, y, t) \geq \sigma_0 = const, \quad (x, y, t) \in \bar{Q}, \quad \alpha = 1,2. \quad (3.1.8)$$

ანალოგიურად ადგილი აქვს ასევე V_α ფუნქციების ზემოდან შემოსაზღვრულობასაც

$$V_\alpha(x, y, t) \leq \Delta_0 = const, \quad (x, y, t) \in \bar{Q}, \quad \alpha = 1,2. \quad (3.1.9)$$

და ბოლოს (3.1.2), (3.1.3), (3.1.7), (3.1.9) თანაფარდობების გამოყენებით გვაქვს

$$\left| \frac{\partial V_\alpha}{\partial t} \right| \leq C, \quad (x, y, t) \in \bar{Q}, \quad \alpha = 1,2. \quad (3.1.10)$$

აღვნიშნოთ, რომ (3.1.8) უტოლობა გარანტირებს (3.1.1) განტოლების პარაბოლურობას U ფუნქციის მიმართ. (3.1.8) და (3.1.9) შეფასებები გვაძლევს V_1 და V_2 ფუნქციების სტაბილურობას. ასევე აღსანიშნავია, რომ (3.1.8) - (3.1.10)

შეფასებები საჭიროა თეორემა 3.3.1-ში მოცემული აპროქსიმაციის ცდომილებების შესაფასებლად. ქვემოთ ანალოგიური თვისებები მოყვანილია ასევე დისკრეტული ფუნქციებისთვისაც.

§2. ცვალეზადი მიმართულებების სხვაობიანი სქემა

ამ პარაგრაფში მოცემულია და შემდეგ შესწავლილია ორგანზომილებიანი (3.1.1)-(3.1.3) მოდელის შესაბამისი ცვალეზადი მიმართულებების სხვაობიანი სქემა.

აღვნიშნოთ, რომ (3.1.1)-(3.1.3) დიფერენციალურ განტოლებათა სისტემის შესაბამისი მეორე სასაზღვრო ამოცანისათვის [43]-ში აგებულია ცვალეზადი მიმართულებების სხვაობიანი სქემა და შესწავლილია მისი კრებადობის საკითხი.

გამოვიყენოთ ცნობილი აღნიშვნები და შემოვიტანოთ ზადეები \bar{Q} არეზე:

$$\bar{\omega}_{h\tau} = \bar{\omega}_h \times \omega_\tau, \quad \bar{\omega}_{\alpha h\tau} = \bar{\omega}_{\alpha h} \times \omega_\tau, \quad \alpha = 1, 2, \text{ სადაც:}$$

$$\bar{\omega}_h = \{(x_i, y_j) = (ih, jh), \quad i, j = 0, 1, \dots, M, \quad Mh = 1\},$$

$$\bar{\omega}_{1h} = \{(x_i, y_j) = ((i - 1/2)h, jh), \quad i, j = 1, \dots, M, \quad Mh = 1\},$$

$$\bar{\omega}_{2h} = \{(x_i, y_j) = (ih, (j - 1/2)h), \quad i, j = 1, \dots, M, \quad Mh = 1\},$$

$$\omega_h = \Omega \cap \bar{\omega}_h, \quad \gamma_h = \bar{\omega}_h / \omega_h, \quad \bar{\omega}_h = \omega_h \cup \gamma_h,$$

$$\omega_\tau = \{t_k = k\tau, \quad k = 0, \dots, N, \quad N\tau = T\}.$$

განვსაზღვროთ შემდეგი სკალარული ნამრავლები და ნორმები y და z დისკრეტული ფუნქციებისთვის $\bar{\omega}_h$ ზადეზე:

$$(y, z) = \sum_{i=1}^{M-1} \sum_{j=1}^{M-1} y_{ij} z_{ij} h^2,$$

$$(y, z]_1 = \sum_{i=1}^M \sum_{j=1}^{M-1} y_{ij} z_{ij} h^2,$$

$$(y, z]_2 = \sum_{i=1}^{M-1} \sum_{j=1}^M y_{ij} z_{ij} h^2,$$

$$\|y\| = (y, y)^{1/2}, \quad \|y\|_1 = (y, y]_1^{1/2}, \quad \|y\|_2 = (y, y]_2^{1/2}.$$

შესაბამისი სკალარული ნამრავლები და ნორმები $\bar{\omega}_{ah}$ ბადეზე განისაზღვრება ანალოგიურად.

ასევე შემოვიღოთ შემდეგი ცნობილი აღნიშვნები:

$$u = u_{i,j}^k = u(x_i, y_j, t_k), \quad \hat{u} = u_{i,j}^{k+1} = u(x_i, y_j, t_{k+1}),$$

$$u_t = \frac{\hat{u} - u}{\tau}, \quad u_{\bar{x}} = \frac{u_{i,j}^k - u_{i-1,j}^k}{h}, \quad u_{\bar{y}} = \frac{u_{i,j}^k - u_{i,j-1}^k}{h},$$

$$u_x = \frac{u_{i+1,j}^k - u_{i,j}^k}{h}, \quad u_y = \frac{u_{i,j+1}^k - u_{i,j}^k}{h},$$

$$u_{\bar{x}\bar{x}} = \frac{u_{i+1,j}^k - 2u_{i,j}^k + u_{i-1,j}^k}{h^2}, \quad u_{\bar{y}\bar{y}} = \frac{u_{i,j+1}^k - 2u_{i,j}^k + u_{i,j-1}^k}{h^2}.$$

სასრული სხვაობები $\bar{\omega}_{ah}$ ბადეზე მოცემული ფუნქციებისთვის განისაზღვრება ანალოგიურად.

შევუსაბამოთ (3.1.1) - (3.1.5) ამოცანას შემდეგი ცვალებადი მიმართულებების სხვაობიანი სქემა:

$$u_{1t} = (\hat{v}_1 \hat{u}_{1\bar{x}})_x + (v_2 u_{2\bar{y}})_y, \quad (3.2.1)$$

$$u_{2t} = (\hat{v}_1 \hat{u}_{1\bar{x}})_x + (\hat{v}_2 \hat{u}_{2\bar{y}})_y, \quad (3.2.2)$$

$$v_{1t} = -\hat{v}_1 + g_1(v_1 u_{1\bar{x}}), \quad (3.2.3)$$

$$v_{2t} = -\hat{v}_2 + g_2(v_2 u_{2\bar{y}}), \quad (3.2.4)$$

$$u_1(x, y, 0) = u_2(x, y, 0) = U_0(x, y), \quad (x, y) \in \bar{\omega}_h, \quad (3.2.5)$$

$$v_1(x, y, 0) = V_{10}(x, y), \quad (3.2.6)$$

$$(x, y) \in \bar{\omega}_{1h}, \quad v_2(x, y, 0) = V_{20}(x, y), \quad (x, y) \in \bar{\omega}_{2h},$$

$$u_1(x, y, t) = u_2(x, y, t) = 0, \quad (x, y, t) \in \gamma_h \times \omega_\tau, \quad (3.2.7)$$

სადაც (3.2.1)-(3.2.4) ტოლობებში დისკრეტული u_1 და u_2 ფუნქციები განსაზღვრულია $\bar{\omega}_{h\tau}$ ბადეზე, ხოლო v_α ფუნქცია კი - $\bar{\omega}_{\alpha h\tau}$ ბადეზე.

(3.1.1)-(3.1.5) ამოცანის ზუსტი ამონახსნებისათვის გვაქვს შემდეგი სხვაობიანი სქემა:

$$U_t = (\hat{V}_1 \hat{U}_{1\bar{x}})_x + (V_2 U_{2\bar{y}})_y + \varphi_1, \quad (3.2.8)$$

$$U_t = (\hat{V}_1 \hat{U}_{1\bar{x}})_x + (\hat{V}_2 \hat{U}_{2\bar{y}})_y + \varphi_2, \quad (3.2.9)$$

$$V_{1t} = -\hat{V}_1 + g_1(V_1 U_{1\bar{x}}) + \chi_1, \quad (3.2.10)$$

$$V_{2t} = -\hat{V}_2 + g_2(V_2 U_{2\bar{y}}) + \chi_2, \quad (3.2.11)$$

$$U(x, y, 0) = U_0(x, y), \quad (x, y) \in \bar{\omega}_h, \quad (3.2.12)$$

$$V_1(x, y, 0) = V_{10}(x, y), \quad (x, y) \in \bar{\omega}_{1h}, \quad (3.2.13)$$

$$V_2(x, y, 0) = V_{20}(x, y), \quad x \in \bar{\omega}_{2h},$$

$$U(x, y, t) = 0, \quad (x, y, t) \in \gamma_h \times \omega_\tau. \quad (3.2.14)$$

(3.2.1) - (3.2.7) სხვაობიანი სქემა ეკონომიურია, ვინაიდან $t = t_{j+1}$ შრეზე მიახლოებითი ამონახსნის საპოვნელად საჭიროა მიმდევრობით ამოხსნას (3.2.1), (3.2.3) განტოლებათა სისტემა \hat{v}_1, \hat{u}_1 ფუნქციების მიმართ, შემდეგ კი (3.2.2), (3.2.4) განტოლებათა სისტემა \hat{v}_2, \hat{u}_2 ფუნქციების მიმართ უკვე ნაპოვნი \hat{v}_1, \hat{u}_1 ფუნქციების გამოყენებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოყვანილი ალგორითმი არ საჭიროებს იტერაციულ პროცესის გამოყენებას, რადგან \hat{v}_α ფუნქციას (3.2.3) და (3.2.4) ტოლობებიდან ცხადად, შემდეგ კი \hat{u}_α ფუნქციას ვპოულობთ სამდიაგონალური მატრიცის მქონე წრფივ ალგებრულ განტოლებათა სისტემის ამოხსნით.

თეორემა 3.2.1. (3.2.1) - (3.2.4) სხვაობიანი სქემა (3.1.1) - (3.1.3) სისტემას საკმაოდ გლუვ U, V_1, V_2 ამონახსნებზე უკეთეს აპროქსიმაციას და აპროქსიმაციის რიგია:

$$\varphi_1 = O(\tau + h^2), \quad \varphi_2 = O(\tau + h^2),$$

$$\chi_1 = O(\tau + h^2), \quad \chi_2 = O(\tau + h^2).$$

φ_1 და φ_2 ცდომილებებისათვის ადგილი აქვს ტოლობას

$$\varphi_1 = U_t - (\hat{V}_1 \hat{U}_{1\bar{x}})_x - (V_2 U_{2\bar{y}})_y = \varphi_2 + (\hat{V}_2 \hat{U}_{2\bar{y}})_y - (V_2 U_{2\bar{y}})_y. \quad (3.2.15)$$

ცნობილი მეთოდოლოგიის გამოყენებით არ არის ძნელი თეორემა 3.2.1-ის დამტკიცება. რაც შეეხება (3.2.15) გამოსახულებას, ის პირდაპირ მიიღება (3.2.8) და (3.2.9) ტოლობებიდან.

§ 3. ცვალებადი მიმართულებების (3.2.1)-(3.2.7) სქემის მდგრადობა

მოცემულ პარაგრაფში დამტკიცებულია (3.1.1)-(3.1.5) დიფერენციალური ამოცანის შესაბამისი (3.2.1)-(3.2.7) ცვალებადი მიმართულებების სქემის მდგრადობა.

სამართლიანია შემდეგი დებულება.

თეორემა 3.3.1. თუ (3.1.1) - (3.1.5) დიფერენციალურ ამოცანას გააჩნია საკმაოდ გლუვი ამონახსნი U, V_1, V_2 , მაშინ არსებობს $\tau_0 > 0$, ისეთი რომ ყოველი $\tau < \tau_0$ სიდიდისთვის (3.2.1) - (3.2.7) სქემა აბსოლიტურად მდგრადია საწყისი პირობების მიმართ და სამართლიანია შემდეგი შეფასება:

$$\|u_{1\bar{x}}\|_1^2 + \|u_{2\bar{y}}\|_2^2 \leq e^{CT} \left\{ \|(V_{10} U_{0\bar{x}})_x\|^2 + \|U_{0\bar{x}}\|_1^2 + \left\| (V_{20} U_{0\bar{y}})_y \right\|^2 + \|U_{0\bar{y}}\|_2^2 \right\},$$

$$0 < c < v_\alpha(x, y, t) \leq C, \quad (x, y, t) \in \bar{\omega}_{\alpha h\tau}, \quad \alpha = 1, 2,$$

სადაც c და C აქ და შემდგომშიც აღნიშნავს დადებით მუდმივებს, რომლებიც არ არიან დამოკიდებულნი τ, h სიდიდეებზე.

დამტკიცება. (3.2.3), (3.2.4) დიფერენციალური განტოლებებიდან, $V_{\alpha 0}$ და g_α ფუნქციებზე (3.1.6), (3.1.7) შეზღუდვების გამოყენებით, ადვილად ვღებულობთ (3.1.8)–(3.1.10) შეფასებების ანალოგიურ შეფასებებს:

$$c < v_\alpha(x, y, t) \leq C, \quad |v_{\alpha t}(x, y, t)| \leq C, \quad (x, y, t) \in \bar{\omega}_{\alpha h\tau}, \quad \alpha = 1, 2, \quad (3.3.1)$$

შემოვიტანოთ აღნიშვნა $A_1 = (v_1 u_{1\bar{x}})_x$, $A_2 = (v_2 u_{2\bar{y}})_y$ და გავამრავლოთ (3.2.1) და (3.2.2) ტოლობები სკალარულად τA_{1t} და τA_{2t} ფუნქციებზე შესაბამისად. x და y ცვლადების მიმართ ნაწილობითი ინტეგრების დისკრეტული ანალოგისა და შემდეგი მარტივი ტოლობის გამოყენებით,

$$\begin{aligned} & \tau[(\hat{A}_1, A_{1t}) + (A_2, A_{1t}) + (\hat{A}_1, A_{2t}) + (\hat{A}_2, A_{2t})] \\ &= \frac{1}{2} \|\hat{A}_1 + \hat{A}_2\|^2 + \frac{\tau^2}{2} (\|A_{1t}\|^2 + \|A_{2t}\|^2) - \frac{1}{2} \|A_1 + A_2\|^2, \end{aligned} \quad (3.3.2)$$

(3.2.7) სასაზღვრო პირობების გათვალისწინებით გვექნება

$$\begin{aligned} & \|\hat{A}_1 + \hat{A}_2\|^2 + \tau^2 (\|A_{1t}\|^2 + \|A_{2t}\|^2) + \tau(\hat{v}_1 u_{1\bar{x}t}, u_{1\bar{x}t}]_1 + (\hat{v}_2 u_{2\bar{y}t}, u_{2\bar{y}t}]_2 \\ & + \tau(v_1 u_{1\bar{x}t}, u_{1\bar{x}t}]_1 + (v_2 u_{2\bar{y}t}, u_{2\bar{y}t}]_2 = \|A_1 + A_2\|^2. \end{aligned} \quad (3.3.3)$$

(3.3.1) შეფასებებისა და ε -უტოლობის გამოყენებით (3.3.3) ტოლობიდან ვღებულობთ

$$\begin{aligned} & \|\hat{A}_1 + A_2\|^2 + \tau^2 (\|A_{1t}\|^2 + \|A_{2t}\|^2) + \tau(c - \varepsilon C) \left(\|u_{1\bar{x}t}\|_1^2 + \|u_{2\bar{y}t}\|_2^2 \right) \\ & \leq \|A_1 + A_2\|^2 + \frac{\tau C}{\varepsilon} \left(\|u_{1\bar{x}}\|_1^2 + \|u_{2\bar{y}}\|_2^2 \right). \end{aligned}$$

მიღებული უტოლობის ორივე მხარეში

$$\tau(u_{1t\bar{x}}, \hat{u}_{1\bar{x}} + u_{1\bar{x}})_1 + \tau(u_{2t\bar{y}}, \hat{u}_{2\bar{y}} + u_{2\bar{y}})_2$$

წევრის მიმატებით გვექნება

$$\begin{aligned}
& \|\hat{A}_1 + A_2\|^2 + \tau^2(\|A_{1t}\|^2 + \|A_{2t}\|^2) + \tau(c - \varepsilon C) \left(\|u_{1\bar{x}t}\|_1^2 + \|u_{2\bar{y}t}\|_2^2 \right) + \|\hat{u}_{1\bar{x}}\|_1^2 + \|\hat{u}_{2\bar{y}}\|_2^2 \\
& \leq \|A_1 + A_2\|^2 + \left(\frac{\tau C}{\varepsilon} + 1 \right) \left(\|u_{1\bar{x}}\|_1^2 + \|u_{2\bar{y}}\|_2^2 \right) + \tau \varepsilon \left(\|u_{1\bar{x}t}\|_1^2 + \|u_{2\bar{y}t}\|_2^2 \right) \\
& \quad + \frac{\tau}{2\varepsilon} \left(\|\hat{u}_{1\bar{x}}\|_1^2 + \|\hat{u}_{2\bar{y}}\|_2^2 + \|u_{1\bar{x}}\|_1^2 + \|u_{2\bar{y}}\|_2^2 \right).
\end{aligned}$$

მსგავსი წევრების შეკრება გვაძლევს

$$\begin{aligned}
& \|\hat{A}_1 + \hat{A}_2\|^2 + \tau^2(\|A_{1t}\|^2 + \|A_{2t}\|^2) + \tau(c - \varepsilon - \varepsilon C) \left(\|u_{1\bar{x}t}\|_1^2 + \|u_{2\bar{y}t}\|_2^2 \right) \\
& \quad + \left(1 - \frac{\tau}{2\varepsilon} \right) \left(\|\hat{u}_{1\bar{x}}\|_1^2 + \|\hat{u}_{2\bar{y}}\|_2^2 \right) \tag{3.3.4} \\
& \leq \|A_1 + A_2\|^2 + \left(1 + \frac{\tau}{2\varepsilon} + \frac{\tau C}{\varepsilon} \right) \left(\|u_{1\bar{x}}\|_1^2 + \|u_{2\bar{y}}\|_2^2 \right).
\end{aligned}$$

ავიღოთ $\varepsilon > 0$ ისე, რომ $c - \varepsilon - \varepsilon C > 0$ და ავირჩიოთ დროითი τ ბიჯი $0 < 1 - \frac{\tau}{2\varepsilon} < 1$ ე.ი. $0 < \tau < 2\varepsilon$ პირობის თანახმად. მაშინ (3.3.4) უტოლობა გვაძლევს

$$\begin{aligned}
& \left(1 - \frac{\tau}{2\varepsilon} \right) \left(\|\hat{A}_1 + \hat{A}_2\|^2 + \tau^2\|A_{1t}\|^2 + \tau^2\|A_{2t}\|^2 + \|\hat{u}_{1\bar{x}}\|_1^2 + \|\hat{u}_{2\bar{y}}\|_2^2 \right) \\
& \leq \|A_1 + A_2\|^2 + \left(1 + \frac{\tau}{2\varepsilon} + \frac{\tau C}{\varepsilon} \right) \left(\|u_{1\bar{x}}\|_1^2 + \|u_{2\bar{y}}\|_2^2 \right). \tag{3.3.5}
\end{aligned}$$

შემდეგი აღნიშვნის შემოტანით

$$\begin{aligned}
P(u, \vartheta) &= \|A_1 + A_2\|^2 + \|u_{1\bar{x}}\|_1^2 + \|u_{2\bar{y}}\|_2^2, \\
C_1 &= \frac{1}{2\varepsilon}, \quad C_2 = \frac{C}{\varepsilon} + \frac{1}{2\varepsilon},
\end{aligned}$$

(3.3.5) დამოკიდებულებიდან ვღებულობთ

$$P(\hat{u}, \hat{v}) + \tau^2\|A_{1t}\|^2 + \tau^2\|A_{2t}\|^2 \leq \frac{1 + C_2\tau}{1 - C_1\tau} P(u, v) = \left(1 + \frac{C_1 + C_2}{1 - C_1\tau} \right) P(u, v). \tag{3.3.6}$$

ცხადია, რომ არსებობს τ_0 , ისეთი რომ ნებისმიერი $\tau < \tau_0$ სიდიდისთვის სამართლიანია შემდეგი უტოლობა

$$\frac{C_1 + C_2}{1 - C_1\tau} < C,$$

სადაც

$$C = \frac{C_1 + C_2}{1 - \tau_0 C_1}, 1 - \tau_0 C_1 > 0.$$

(3.3.6) გამოსახულების გათვალისწინებით გვაქვს

$$P(u^{k+1}, v^{k+1}) \leq (1 + \tau C)P(u^k, v^k) \leq \dots \leq (1 + \tau C)^{k+1}P(u^0, v^0) \leq e^{CT}P(u^0, v^0). \quad (3.3.7)$$

როგორც უკვე (3.3.1) შეფასებებში ავღნიშნეთ, დისკრეტული ფუნქციები v_1 და v_2 არიან შემოსაზღვრულები. მაშასადამე, (3.3.1) და (3.3.7) შეფასებებიდან ვღებულობთ თეორემა 3.3.1-ის სამართლიანობას.

§4. ცვალებადი მიმართულებების (3.2.1)-(3.2.7) სქემის კრებადობა

მოცემულ პარაგრაფში დამტკიცებულია (3.1.1)-(3.1.5) დიფერენციალური ამოცანის შესაბამისი (3.2.1)-(3.2.7) ცვალებადი მიმართულებების სქემის კრებადობა.

სამართლიანია შემდეგი დებულება.

თეორემა 3.4.1. თუ (3.1.1) - (3.1.5) დიფერენციალურ ამოცანას გააჩნია საკმაოდ გლუვი ამონახსნი U, V_1, V_2 , მაშინ არსებობს $\tau_0 > 0$, ისეთი რომ ყოველი $\tau < \tau_0$ სიდიდისთვის (3.2.1) - (3.2.7) სქემა კრებადია როცა, $\tau \rightarrow 0, h \rightarrow 0$ და სამართლიანია შემდეგი შეფასება:

$$\|u_{1\bar{x}} - U_{\bar{x}}\|_1 + \|u_{2\bar{y}} - U_{\bar{y}}\|_2 + \|v_1 - V_1\|_1 + \|v_2 - V_2\|_2 \leq C(\tau + h^2).$$

დამტკიცება. ცდომილებებისთვის $z_\alpha = u_\alpha - U$ და $z_\alpha = v_\alpha - V_\alpha, \alpha = 1, 2,$ (3.2.1) -(3.2.4) და (3.2.8) - (3.2.11) ტოლობებიდან ვღებულობთ:

$$z_{1t} = (\hat{v}_1 \hat{u}_{1\bar{x}} - \hat{V}_1 \hat{U}_{\bar{x}})_x + (v_2 u_{2\bar{y}} - V_2 U_{\bar{y}})_y - \varphi_1,$$

$$z_{2t} = (\hat{v}_1 \hat{u}_{1\bar{x}} - \hat{V}_1 \hat{U}_{\bar{x}})_x + (\hat{v}_2 \hat{u}_{2\bar{y}} - V_2 U_{\bar{y}})_y - \varphi_2,$$

$$s_{1t} = -\hat{v}_1 + \hat{V}_1 + g_1(v_1 u_{1\bar{x}}) - g_1(V_1 U_{\bar{x}}) - \chi_1,$$

$$s_{2t} = -\hat{v}_2 + \hat{V}_2 + g_2(v_2 u_{2\bar{y}}) - g_2(V_2 U_{\bar{y}}) - \chi_2.$$

შემდეგი დამოკიდებულებების გათვალისწინებით

$$v_1 u_{1\bar{x}} - V_1 U_{\bar{x}} = v_1 z_{1\bar{x}} + s_1 U_{\bar{x}},$$

$$v_2 u_{2\bar{y}} - V_2 U_{\bar{y}} = v_2 z_{2\bar{y}} + s_2 U_{\bar{y}},$$

$$g_1(v_1 u_{1\bar{x}}) - g_1(V_1 U_{\bar{x}}) = g'_1(\xi_1)(v_1 z_{1\bar{x}} + s_1 U_{\bar{x}}),$$

$$g_2(v_2 u_{2\bar{y}}) - g_2(V_2 U_{\bar{y}}) = g'_2(\xi_2)(v_2 z_{2\bar{y}} + s_2 U_{\bar{y}}),$$

გვაქვს

$$\xi_1 = \eta v_1 u_{1\bar{x}} + (1 - \eta) V_1 U_{\bar{x}}, \quad 0 < \eta < 1,$$

$$\xi_2 = \eta v_2 u_{2\bar{y}} + (1 - \eta) V_2 U_{\bar{y}}, \quad 0 < \eta < 1.$$

ზემოთ მოყვანილი ტოლობებისა და (3.2.5) - (3.2.7), (3.2.12) - (3.2.14) პირობების გათვალისწინებით z_α, s_α ცდომილებებისთვის ვღებულობთ შემდეგ სხვაობიან სქემას:

$$z_{1t} = (\hat{v}_1 \hat{z}_{1\bar{x}} + \hat{s}_1 \hat{U}_{\bar{x}})_x + (v_2 z_{2\bar{y}} + s_2 U_{\bar{y}})_y - \varphi_1, \quad (3.4.1)$$

$$z_{2t} = (\hat{v}_2 \hat{z}_{2\bar{y}} + \hat{s}_2 \hat{U}_{\bar{y}})_y + (\hat{v}_1 \hat{z}_{1\bar{x}} + \hat{s}_1 \hat{U}_{\bar{x}})_x - \varphi_2, \quad (3.4.2)$$

$$s_{1t} = -\hat{s}_1 + g'_1(\xi_1)(v_1 z_{1\bar{x}} + s_1 U_{\bar{x}}) - \chi_1, \quad (3.4.3)$$

$$s_{2t} = -\hat{s}_2 + g'_2(\xi_2)(v_2 z_{2\bar{y}} + s_2 U_{\bar{y}}) - \chi_2, \quad (3.4.4)$$

$$z_1(x, y, 0) = z_2(x, y, 0), \quad (x, y) \in \bar{\omega}_h, \quad (3.4.5)$$

$$s_1(x, y, 0) = 0, \quad (x, y) \in \bar{\omega}_{1h}, \quad s_2(x, y, 0) = 0, \quad (x, y) \in \bar{\omega}_{2h}, \quad (3.4.6)$$

$$z_1(x, y, t) = z_2(x, y, t), \quad (x, y, t) \in \gamma_h \times \omega_h, \quad (3.4.7)$$

შემოვიღოთ აღნიშვნები:

$$B_1 = (v_1 z_{1\bar{x}} + s_1 U_{\bar{x}})_x, \quad B_2 = (v_2 z_{2\bar{y}} + s_2 U_{\bar{y}})_y,$$

მაშინ (3.4.1), (3.4.2) სხვაობიანი განტოლებები შესაძლებელია გადაიწეროს შემდეგი სახით:

$$z_{1t} = \hat{B}_1 + B_1 - \varphi_1, \quad (3.4.8)$$

$$z_{2t} = \hat{B}_1 + \hat{B}_2 - \varphi_2. \quad (3.4.9)$$

გავამრავლოთ (3.4.8), (3.4.9) განტოლებები სკალარულად τB_{1t} და τB_{2t} სიდიდეებზე შესაბამისად. მიღებული ტოლობების აჯამვით და (3.3.2) დამოკიდებულების გათვალისწინებით ვღებულობთ

$$\begin{aligned} \tau(z_{1t}, B_{1t}) + \tau(z_{2t}, B_{2t}) &= \frac{1}{2} \|\hat{B}_1 + \hat{B}_2\|^2 + \frac{\tau^2}{2} (\|B_{1t}\|^2 + \|B_{2t}\|^2) \\ &\quad - \frac{1}{2} \|B_1 + B_2\|^2 - \tau(\varphi_1, B_{1t}) - \tau(\varphi_2, B_{2t}). \end{aligned} \quad (3.4.10)$$

თუ გავითვალისწინებთ B_α ფუნქციის სახეს, ნამრავლის გაწარმოებისა და ნაწილობითი ინტეგრების ფორმულების დისკრეტულ ანალოგებს და (3.4.7) ერთგვაროვან სასაზღვროპირობებს, (3.4.10) ტოლობიდან გვექნება

$$\begin{aligned} &\tau\{(z_{1\bar{x}t}, \hat{v}_1 \hat{z}_{1\bar{x}t}]_1 + (z_{1\bar{x}t}, v_1 z_{1\bar{x}t}]_1 + (z_{2\bar{y}t}, \hat{v}_2 \hat{z}_{2\bar{y}t}]_2 + (z_{2\bar{y}t}, v_2 z_{2\bar{y}t}]_2 + \\ &\quad (z_{1\bar{x}t}, s_{1t} \hat{U}_{\bar{x}t}]_1 + (z_{1\bar{x}t}, s_{1t} U_{\bar{x}t}]_1 + (z_{2\bar{y}t}, s_{2t} \hat{U}_{\bar{y}t}]_2 + (z_{2\bar{y}t}, s_{2t} U_{\bar{y}t}]_2\} \\ &\quad + \frac{1}{2} \|\hat{B}_1 + \hat{B}_2\|^2 + \frac{\tau^2}{2} (\|B_{1t}\|^2 + \|B_{2t}\|^2) \\ &\quad = \frac{1}{2} \|B_1 + B_2\|^2 + \tau(\varphi_1, B_{1t}) + \tau(\varphi_2, B_{2t}). \end{aligned} \quad (3.4.11)$$

შევაფასოთ (3.4.11) უტოლობის მარცხენა მხარეში მყოფი სკალარული ნამრავლი. ზუსტი U, V_1, V_2 ამონახსნების საკმარისად გლუვობის, (3.3.1) დამოკიდებულების და ε -უტოლობის გათვალისწინებით ვღებულობთ:

$$(z_{1\bar{x}t}, \hat{v}_1 \hat{z}_{1\bar{x}t}]_1 \geq c \|z_{1\bar{x}t}\|_1^2, (z_{2\bar{y}t}, \hat{v}_2 \hat{z}_{2\bar{y}t}]_2 \geq c \|z_{2\bar{y}t}\|_2^2, \quad (3.4.12)$$

$$(z_{1\bar{x}t}, v_1 z_{1\bar{x}t}]_1 \leq \varepsilon C \|z_{1\bar{x}t}\|_1^2 + \frac{C}{4\varepsilon} \|z_{1\bar{x}}\|_1^2, \quad (3.4.13)$$

$$(z_{2\bar{y}t}, v_2 z_{2\bar{y}t}]_2 \leq \varepsilon C \|z_{2\bar{y}t}\|_2^2 + \frac{C}{4\varepsilon} \|z_{2\bar{y}}\|_2^2,$$

$$(z_{1\bar{x}t}, s_{1t} U_{\bar{x}t}]_1 \leq \varepsilon C \|z_{1\bar{x}t}\|_1^2 + \frac{C}{4\varepsilon} \|s_{1t}\|_1^2, \quad (3.4.14)$$

$$(z_{2\bar{y}t}, s_2 U_{\bar{y}t}]_2 \leq \varepsilon C \|z_{2\bar{y}t}\|_2^2 + \frac{C}{4\varepsilon} \|s_2\|_2^2.$$

გამოვიყენოთ (3.4.3), (3.4.4) ტოლობები $(z_{\alpha\bar{x}_\alpha t}, s_{\alpha t} U_{\bar{x}_\alpha t}]_\alpha$, $\alpha = 1, 2$, სკალარული ნამრავლის შესაფასებლად (აქ შემოტანილი გვაქვს აღნიშვნები: $x_1 = x$, $x_2 = y$):

$$\begin{aligned} (z_{\alpha\bar{x}_\alpha t}, \hat{v}_\alpha \hat{z}_{\alpha\bar{x}_\alpha t}]_\alpha &= (z_{\alpha\bar{x}_\alpha t}, \hat{s}_\alpha \hat{U}_{\bar{x}_\alpha}]_\alpha - (z_{\alpha\bar{x}_\alpha t}, g'_\alpha(\xi_\alpha) v_\alpha z_{\alpha\bar{x}_\alpha} \hat{U}_{\bar{x}_\alpha}]_\alpha \\ &\quad - (z_{\alpha\bar{x}_\alpha t}, g'_\alpha(\xi_\alpha) s_\alpha U_{\bar{x}_\alpha} \hat{U}_{\bar{x}_\alpha}]_\alpha - (z_{\alpha\bar{x}_\alpha t}, \varphi_\alpha \hat{U}_{\bar{x}_\alpha}]_\alpha \end{aligned} \quad (3.4.15)$$

$$\leq \varepsilon C \|z_{\alpha\bar{x}_\alpha t}\|_\alpha^2 + \frac{C}{4\varepsilon} \left(\|\hat{s}_\alpha\|_\alpha^2 + \|s_\alpha\|_\alpha^2 + \|z_{\alpha\bar{x}_\alpha}\|_\alpha^2 + \|\varphi_\alpha\|_\alpha^2 \right).$$

(3.4.12)–(3.4.15) უტოლობების გამოყენებით, (3.4.11) უტოლობიდან ვღებულობთ

$$\begin{aligned} \tau C \left(\|z_{1\bar{x}t}\|_1^2 + \|z_{2\bar{y}t}\|_2^2 \right) + \frac{1}{2} \|\hat{B}_1 + \hat{B}_2\|^2 + \frac{\tau^2}{2} (\|B_{1t}\|^2 + \|B_{2t}\|^2) \\ \leq \tau \varepsilon C \left(\|z_{1\bar{x}t}\|_1^2 + \|z_{2\bar{y}t}\|_2^2 \right) \\ + \frac{C}{4\varepsilon} \left(\|z_{1\bar{x}}\|_1^2 + \|\hat{s}_1\|_1^2 + \|z_{2\bar{y}}\|_2^2 + \|\hat{s}_2\|_2^2 + \|s_1\|_1^2 + \|\varphi_1\|_1^2 \right. \\ \left. + \|s_2\|_2^2 + \|\varphi_2\|_2^2 \right) + \frac{1}{2} \|B_1 + B_2\|^2 + \tau(\varphi_1, B_{1t}) + \tau(\varphi_2, B_{2t}). \end{aligned} \quad (3.4.16)$$

დავუმატოთ (3.4.16) უტოლობის ორივე მხარეს შემდეგი გამოსახულება

$$\tau(z_{1\bar{x}t}, \hat{z}_{1\bar{x}} + z_{1\bar{x}}]_1 + \tau(z_{2\bar{y}t}, \hat{z}_{2\bar{y}} + z_{2\bar{y}}]_2,$$

გავქვს

$$\begin{aligned} \tau C \left(\|z_{1\bar{x}t}\|_1^2 + \|z_{2\bar{y}t}\|_2^2 \right) + \frac{1}{2} \|\hat{B}_1 + \hat{B}_2\|^2 + \frac{\tau^2}{2} (\|B_{1t}\|^2 + \|B_{2t}\|^2) \\ + \|\hat{z}_{1\bar{x}}\|_1^2 + \|\hat{z}_{2\bar{y}}\|_2^2 \leq \|z_{1\bar{x}}\|_1^2 + \|z_{2\bar{y}}\|_2^2 + \tau(z_{1\bar{x}t}, \hat{z}_{1\bar{x}} + z_{1\bar{x}}]_1 \\ + \tau(z_{2\bar{y}t}, \hat{z}_{2\bar{y}} + z_{2\bar{y}}]_2 + \tau \varepsilon C \left(\|z_{1\bar{x}}\|_1^2 + \|z_{2\bar{y}}\|_2^2 \right) \end{aligned} \quad (3.4.17)$$

$$+ \frac{\tau C}{4\varepsilon} \left(\|z_{1\bar{x}}\|_1^2 + \|\hat{s}_1\|_1^2 + \|z_{2\bar{y}}\|_2^2 + \|\hat{s}_2\|_2^2 + \|s_1\|_1^2 + \|\varphi_1\|_1^2 + \|s_2\|_2^2 \right. \\ \left. + \|\varphi_2\|_2^2 \right)$$

$$+ \frac{1}{2} \|B_1 + B_2\|^2 + \frac{\tau C}{4\varepsilon} \left(\|\chi_1\|_1^2 + \|\chi_2\|_2^2 \right) + \tau(\varphi_1, B_{1t}) + \tau(\varphi_2, B_{2t}).$$

შევაფასოთ (3.4.17) უტოლობაში სკალარული ნამრავლი

$$(z_{\alpha\bar{x}_{\alpha t}}, \hat{z}_{\alpha\bar{x}_{\alpha}} + z_{\alpha\bar{x}_{\alpha}}]_{\alpha} \leq \varepsilon \|z_{\alpha\bar{x}_{\alpha t}}]_{\alpha}\|^2 + \frac{1}{2} \left(\|\hat{z}_{\alpha\bar{x}_{\alpha}}]_{\alpha}\|^2 + \|z_{\alpha\bar{x}_{\alpha}}]_{\alpha}\|^2 \right). \quad (3.4.18)$$

თუ გავითვალისწინებთ B_{α} ფუნქციის სახეს, (3.2.15) კორელაციას და (3.4.3), (3.4.4) ტოლობებს, გვექნება

